ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4129382

ნომერი: AR1621129

თარიღი : 05.08.2018

გაცემის თარიღი : 20.08.2018

გაცნობის თარიღი : 20.08.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 22 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გოძიაშვილი , N 24 , (ნაკვ. 20/52);

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ლეკიაშვილი პ/ნ 01017013777
- თბილისი კ.მესხის ქ. N 15

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 29 აგვისტოს №3499411 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 5 აგვისტოს №AR1621129 განცხადებით მომართეს შალვა ლეკიაშვილმა და ზურაბ ჯოჯუამ და განმცხადებლებმა მოითხოვეს სამსახურის 2017 წლის 29 აგვისტოს №3499411 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2017 წლის 29 აგვისტოს №3499411 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გოძიაშვილის ქუჩა №22 / ქალაქ თბილისში, გოძიაშვილის ქუჩა №24 / ქალაქ თბილისში გოძიაშვილის ქუჩა №24, (ნაკვ. 20/52), კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.10.10.020.174), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 29 აგვისტოდან 2020 წლის 29 აგვისტოს ჩათვლით.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N882017524025, მომზადების თარიღი: 22/06/2017 11:08:25) თანახმად, N01.10.10.020.174 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „რენესანს კონსტრაქშენი“-ს (405204933) საკუთრებას. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხ. რეგისტრაცია - B17111437, მომზადების თარიღი: 06/10/2017 14:31:30) შპს „რენესანს კონსტრაქშენი“-ს (405204933) დირექტორია ზურაბ ჯოჯუა (პ/ნ 01005031191), რომელიც დარეგისტრირებულია თანაგანმცხადებლად.

წინამდებარე განცხადებით, განმცხადებლები ითხოვენ სამსახურის 2017 წლის 29 აგვისტოს №3499411 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად 7359.9კვ.მ-ის ნაცვლად 6635.91 კვ.მ-ის, საზაფხულო ფართობად 1023.41 კვ.მ-ის ნაცვლად 1063.00 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობად 11701.47 კვ.მ-ის ნაცვლად 11017.07 კვ.მ-ის დაფიქსირებას. შეტყობინებით წარმოდგენილია შესაბამისი გეგმები.

სამსახურმა განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართობების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება. უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 29 აგვისტოს №3499411 ბრძანებაში და და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი: 6635.91 კვ.მ, საზაფხულო ფართობი: 1063.00 კვ.მ, საერთო ფართობი: 11017.07 კვ.მ.
2. სამსახურის 2017 წლის 29 აგვისტოს №3499411 ბრძანებით შეთანხმებული 4.50, 7.80, 11.10, 14.40, 17.70, 21.00, 24.30, 27.60, 30.90, 34.20, 37.50 და 40.80 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე შეტყობინებით წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გეგმებით.
3. სამსახურის 2017 წლის 29 აგვისტოს №3499411 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 29 აგვისტოს №3499411 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.